



უკრაინის კულტურის დეკადე

ნიაგის მისაღება

ამხანაგებო და მოქალაქენო!
საქართველოს ნიაგორების, ჩვენი—რედაქციის უახლოესი თანამშრომლების და პირადად ჩემი სახელით ნიაგურ სალამს ვუძღვნი ჩვენი მოძმე რესპუბლიკის უკრაინის კულტურის წარმომადგენლებს, რომლებიც გვეწვიენ სტუმრათ ამ სიცხე-პაპანა-ქების დროს!

ჩვენ აღტაცებით ვეგებებით მათ ხილვას საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც აქ ბრძანა ჩვენმა პროფესორმა შალვა ნუცუაძემ, სტუმრებთან შორის მე მინდა თქვენი ყურადღება შეგაჩერო ბერეჟილის თეატრზე, რომლის ხელმძღვანელს ცნობილ რეჟისორს ამხანაგ კურბასს ძმურათ ხელს ვართმევ. ვაშა ბერეჟილს. (ტაშის გრიალი). ამხანაგებო ბერეჟილის თეატრზე ჩვენ განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ. მან უნდა შეასრულოს ისტორიული მისია ჩვენი ქართული თეატრის საქმეში. ზომ ზედავთ, ჩვენი აკადემიური თეატრების მსახიობებს

სიხარულისაგან როგორ უბრწყინავთ თვალებო...

მათ სრული იმედი აქვთ, რომ ამხანაგი ბერეჟილი ამ ორ თეატრებს შორის



უკრ. სოც. საბჭოთა რესპ. სახ. არტისტი—
ლეს კურბასი

გაწვეტილ კავშირს გააძლიერებენ... პირადად მეც, ამხანაგებო, დიდი დეწალი მი-

მიძღვის მათ შერიგების საქმეში, — რამდენი დიპლომატიური ხერხი მისმარია, რამდენი დრო დაჰყარავს და ცრემლიც მიღვრია, — ამხ. კ. მარჯანიშვილი და ახმეტელიც მომიმღურებია, — მაგრამ სასურველ შედეგს მაინც ვერ მივაღწიეთ... ამხანაგო ბერეჟილო, თქვენ საშუალება გექნებათ ამ ჩვენს საამაყო თეატრებს შორის მშვიდობიანობის დამყარების.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თქვენ ძალადონეს არ დაიშურებთ ამ საქმისათვის.

უკრაინის კულტურის დეკადის დაწყებასთან ერთად იწყება თქვენს საპატივცემლოთ ბანკეტირება, — რომელზედაც შეიძლება „სულმა სული და გულმა გული“ იცნოს.

მაშ, ამხანაგებო, გაუმარჯოს ჩვენს პირველ და მეორე თეატრს (ტაში, ოვაცია).

(ისმის ხმები: „ხაი უივე რადიანსკი უკრაინა“... გაუმარჯოს საბჭოთა უკრაინის სოციალისტურ კულტურას!...) ნიაგის სიტყვებს ტაში და ოვაციები ფარავს. ნიაგი სტუმრების გაცილების დროს საზეიმო აღთქმას სდებს, რომ მისი „სურნელოვანი“ ხასა მუდამ მზად იქნება როგორც საქართველოს, ისე მთელი ამიერ-კავკასიის, უკრაინის და ყველა საბჭოთა ქვეყნების შოვინის ტებისა და მანევრებისათვის თავშესაფარის და მუქთი „პანსონის“ მისაცემით).

ყუმაბარე

დეკადოსანი

(უკრაინის კულტურის დეკადის ზამო)

2
მოართო ტვილის-ქალაქი, როგორც მასპინძელს სჩვევია, დროშების ტყეზე ელექტრო — მზე-ცეცხლად ღუფრქევია.

დიდ ზეიშა იხდის, ამაში არა ვარ ნაეჭვევია, — სასურველთ უსასურველესი სტუმართა გუნდი სწვევია.

— : —
უფროს მოძმე უკრაინით გარდამოხდენ კულტურალ-ქარნი ხელოვნების ცეცხლთა მგზნებნი კალამ-სიტყვის ძმა-ამ-ქარნი, თვის საუნჯე რომ გაგვაცნონ, ჩვენდა მისად მონაჩ-ქარნი, ჩვენცა შევხვდით გულგადაშლით, ღია დახვდათ ჩვენნი ქარნი.

— : —
წინ „ბერეჟილი“ გამოჩნდის, მით სარდლის ლეს კურბასითა მას მსახიობთა ლაშქარნი მოსდევდეს დასთა დასითა „ვაშა“-ს შეგისხდით ერთხმივად სიტყვითა არ ათასითა, იმათი ხილვის სიხარულს დღესაც ვსვამთ გრძნობის თა-სითა.

— : —
კვლავცა მოჯარდენ მათ კვალზე სიტყვით მებრძოლ-ნი მღერალნი რადიან-უკრაინის მზით გულანთებულნი მწერალნი, ჩვენთან მეგობრად ნაფიცნი კვლავ ძმათა შესაფერალნი მიკიტენკო და კრისია — მათნი ბელადნი მწვერალნი!

— : —
მართ ხელოვანნიც სხვა დარგთა ერთ თაიგულად კრებულან, საუნჯედ გასაზიარად ჩვენად შორის გზით რებულან,

მტერთ ღია შეცაშურდებით ჩვენთან რომ დამოყვრებულან ახლოს გავეცნათ ერთ-ერთსო პირობად ასე დებულან!

— : —
ეს პირველი ნაბიჯია, მსოფლიოში უნახავი რომ მოძმე ერს, მოძმე ერთან მოეყაროს ასე თავი, და კულტურის საძირკველზე დაემყაროს ძმობის ზავი, ცოდნის კევრით კალო ლეწოს, დაახვავოს სიბრძნის ხე-ვი,

მართ ოქტომბრის მტყიცე საქმე წაიყვანოს ასე ნავი რომ მშრომელთა დიად წინსვლას გზას უხსნიდეს ვით ვარსკვლავი ახალი შემოქმედება და კულტურა მტერთა მკლავი ფორმით იგი ეროვნული, შინაარსით — საყოლოთავი ვაშა, ვაშა საბჭოებსა, ვინც გვანახა უნახავი!..


— : —
რა გათავდა შეხვედრაი სპათა ქალაქს მოვაშურნეთ, ერთმანეთის გაცნობაი ძმათა ძმურად მოვისურნეთ, — ხელოვნების ყველა კუთხე გავალეთ არ გავიშურნეთ სტუმარნიც და მასპინძელნიც გავხარდით და არ ვიურნეთ.

— : —
ათი დღე განხდა მას შემდეგ, დღენი ათ წელთა და-ჩია

უკრაინთ ხელოვნებისა ფართოდ შევალეთ კარია მოძმე ერისა მიღწევა საცვიფრი სასუკვარია ათორმეტ წელში გაზრდილა კულტურა ფუძე-მყარია საუკუნეებს გაუხსნო რაც რაღა დაუწყარია ასეა, სადაც ოქტომბრის მძლედ აგუგუნდა ქარია.

ჩვენც მათთანა ვართ ნაბიჯში — ძმამ ძმას უმაგროს მხარია!

ჩაჩნაგირი



დემიან ბედნი

(მისი ლიტერატურული მოღვაწეობის 25 წლის უმსრულეობის გამო)

სალამი ძმაო დემიან, შენა ხარ ჩვენი ბედნია
ოცდა ხუთი წლის მანძილზე კალმით რომ გიმოქმედნია
გიცვნი ხალხის ავ-კარგი, მათ გულში ჩაგხედნია
მშრომელთა ფიქრი და გრძნობა სიმღერით გაგიბედნია
მჩაგვრელი არამხადა კი კვიცივით გაგიბედნია
შენი მანჯელი კალამი მტრებს ლახვრად გულს მოხვედ-
რია.

— : —

ბიჭოს, რა ბოლიმარი ხარ, ძმაო დემიან, მითხარი
ერთი აშბაღი მინდა ვცნა, შენთან მაქვს შესაკითხარი
ნუ დაგვიტყობა ყოყმანი პასუხი იყოს სწორია:
რამდენჯერ მოგხვდა ქეჩოში წუწკი ჟანდარმის ტორია.
ამ თხუთმეტობდ წლის წინად რამდენჯერ იყავ ხიფათში
რამდენჯერ ჩაგითხლანშუნეს ბოქაულებმა სიფათში,
რადგან მათ შენი ბედნობა არ მოსდიოდათ თვალშია
რადგან მტრებს პროლეტარების შენ ბრძოლით სდევდ
კვალშია
რადგან შენ მშრომელთ სვე-ბედი გქონდა სისხლსა და
ძვალშია
რადგან... ეჰ რადგან, არ ვიცი, რადგან რადგანის ვალშია.

— : —

შენ არ გყოფნიდა სიცილად ჯალათთა ფახი-ფუხია
და შენს ბასრ კალამსათ თავზე კოლავ რისხვით დაუქუ-
ნია
შენს კალამს მუდამ უსმენდენ მილიონები გზნდებოდენ
და გადამწყვეტი ბრძოლისთვის ოქტომბერს ელოდებო-
დენ.
მაინც რომ კიდე ილიმვი, ძმაო დემიან მაღაზე
პასუხი მომე ჩემს კითხვას ღიმილში ნუკი გადაზელ
განა ის ბიჭი არა ხარ, ის დემიანი ბედნია

(რა ექნა ამდენი კითხვები მე ვერც კი გაშიბედნია)
სამოქალაქო ომის დროს ფრონტებს ფეხით რომ ქსელავ-
დი
ბრძოლებში არმიის რიგებს ამშვენდი, რისხვად ელავდი
და შენ ცეცხლიან ლექსებით (პაეროპლანი რომ ყრიდა)
გულებს უნთებდი მებრძოლებს—ფეხს არ იცვლიდენ
ფრონტიდან
და იმ დიდ გამარჯვებაში, რომ მოგვიბოვა ბრძოლებმა
შენც დიდი წვლილი მიგიძღვის, ეს ვიცი შენმა ტო-
ლებმა.

— : —

აჰა, შე მივხვდი შენს ღიმილს, ეს ყველა რომ გახსენდება
ბაგეზე გულლია ბავშვის მორცხვი ღიმილი გენთება
კარგია ძმაო დემიან, ასეთი დამსახურება
ოცდა ხუთი წლის მანძილზე გულის ხალხისთვის ხურება,
ბრძოლა ახალი ქვეყნისთვის, ახალი მზისკენ ყურება
თვითონვე მომკვა ნათესის ნაყოფით გამოპურება.

— : —

ხომ დაგიფსა ქვეყანამ შენი ღვაწლი და ამაგი
ხომ მოგცა რჩეულთა შორის შენთვის კუთვნილი ალაგი.
პროლეტარიატს ძეგლი აქვს შენთვის თვის გულში აღნაგი.
შენს იუბილეს ჩამოვრჩი, ვერ დავესწარი ზეიშსა,
მაგრამ სიხარულის მასებისგული—რომ აგიშვეისა
მეც ვიზიარებ ძმურად, ნიაგურად და ქვეშ-ქვეშად
ამიტომ აჰა, მიიღე მომირთმევია ფეშქეშად
ამ სინზე დალაგებული ეს ძღვენი დანამხადები
წინად ყოფილი ხალხია და დღეს კი არამხადები.
მიიღე, ჩაუნისკარტე ბღღიბი ადინე ბედნურად,
იდღეგრძელე და იბრძოლე, კვლავ ბოლშევეკურ მხედ-
როულად.
ფარსადან

ნ ი ა ნ ზ ი კ ა ხ ე თ უ ი



წინა ნომერში, როდესაც შირაქის ველიდან ალაზნის გაღმა მხარეში გავემართეთ, სიტყვა მივეცით საბჭოთა მამულების გამგეს სევა კუხალიშვილს და შემოქმედის კალმეზურნიება. მაგრამ ვინაიდან ისინი უფრო საქმის ხალხი არიან, ვიდრე სიტყვის, ამიტომ დაე, მათ საქმე აკეთონ და რაც მათ გაუკეთებელი დარჩებათ შირაქის ველზე, ამის შესახებ ჩვენ ვიტყვით ორიოდ სატყვას.

მხოლოდ ეს სიტყვა ისმინონ რაჭა-ლეჩხუმის, ოზურგეთის და სხვა ისეთი რაიონების მცხოვრებლებმა, რომლებიც განიცდიან ბიწის ღიდ სივიწროვეს. ზოგან ფერადობზე თოკით ჩაბმული, ჯიბეში თესლით, თითო ცალიობით აბნევენ წარცვალს მიწაში, რამელსაც რამდენიმე ყანობის შემდეგ ჩამორეცხავს წვიმა და გამოჩნდება სიბი - კლდე.

ნახეთ შირაქი, გლდარი, უდაბნო! არ გინახავთ თქვენ ეს ადგილები და ნახეთ! მართალია, იქ არ მოჩუხჩუხებენ ანკარა წყაროები, ამბობენ იქ გველეხი დასრიალებენო, — თუმცა ჩვენ არ გვინახავს, — იკბანება კოლოებიც, ნავს იკბან. წყალი, გაქრებიან გველები და კოლოები, თუ მწრომელი გლესკაცობის მაჯების ნაღლიანი კოლექტიური მუშაობა გაჩაღდება იქ. ცოდვა არის, — კიდევ ჩეტი, — დანაშაული არაა ამ ადგილების ასე დაუმუშავებლად და დაუსახელებლად დატოვება, როგორც ყოფილა და არის დღეს!

ეს საკითხი იმდენად საყურადღებოა, რომ ჩვენც კი, იუმორისტები, დავადინჯა და წარმოგვათქმევინა ზემორე სიტყვა.

ვისაც ყურები ასეიან სმენად, — ისმინონ!

დავეშვით დაუდალმა წითელ-წყაროდან წნორის - წყალსაკენ, მაგრამ გულმა ვეღარ მოგვითმინა, რომ შვა გზაზე არ შევჩერებულყავათ და ალაზნის ბამბის საბჭოთა მამულში არ შეგვევლო.

მანქანით იქ შერება შეუძლებელია, რადგან გზის გაკეთებაზე არავის უფიქრია, — წახდენას კი ფიქრი არ უნდა!

შვიდი კილომეტრი მანძილი გავიარეთ ეტლით ორ საათში, — წარმოიდგინეთ, როგორ მისრიალობდა ჩვენი ეტლი!

ამ ახლად წარმოშობილ გრცელ მამულში ბევრი აღმოჩნდა ნიანგის საკბილო მასალა, მაგრამ გზის უქონლობის გამო მისი წამოღება შეუძლებელი შეიქნა და იქვე დარჩა!..

„ბიუჯი“ ღმუილით მიიზღაზნება სოფლების შუა შარა-გაზაზე. მას წარამარა უხდება შეტორტმანება და მიხვევ-მოხვევა, რათა ქვეშ არ მოიქციოს ღორ-გოჭები, ძროხა-ხბოები, ან სხვა პირუტყვები, განსაკუთრებული

სიფრთხილეა საჭირო ბავშვების მიმართ, რომლების უთვალავი რიცხვი გამოფენილია ეზოებიდან შარა-გზას პირათ.

ეტყობა, კახელ გლესკაცობას გამრავლების ხუთწლიანი გეგმა უკვე შეუსრულებია დიდი გადაჭარბებით!

ჩვენთან მოდიან კახეთის რაიონების პასუხისმგებელი მუშაკები, თვითმული მათგანი თავის რაიონის ფარგლებში გვაძლევს ახსნა - განმარტებას, — რამდენია კოლექტივი, რამდენია მოხსული, რამდენი რა არას დათესილი, რამდენი პროცენტი შესრულებული, დაუმთავრებელი, თუ გადაჭარბებული.

ოცა ექვები კი გვებადება მათ სისწოროში: სადაც რაიმე კარგათ დამუშავებულს დაინახავენ, — სულ კოლექტივს, ან საბჭოთა მამულს აკუთნიებენ! გამოდის, რომ რაიონში ოცდა ხუთი — ოცდა ათი კი არა, — ოთხმოცი — ოთხმოცდა ათი პროცენტით არის კოლექტივიზაცია ქმნილი!

მისატოვებელია, ეპატიებათ კეთილი განზრახვით გადაჭარბება!..

წინანდალის საბჭოთა მამულს რომ მიუახლოვდით, ყველამ დადლილობა ვიგრძენით და ერთხმად გადავწყვიტეთ აქ შესვენება. ამ მამულთან გამეღვლი ყველა განიცდის თურმე ასეთ მოვლენას, — ეს, ალბათ, იმის ბრალია, რომ მამულს დიდი რადიაქტიური მიმზიდველობა აქვს...

რა მოგახსენოთ, — სხვა დამსვენებლებიასგან ემატება რაიმე მამულს, თუ აკლდება, მაგრამ ჩვენი იქ დასვენებით კი ბევრი შეემატა!

მოგვეწონა რა წინანდალის ღვინოები, შეუდექით იმის გააორკვევას, თუ რამდენი სივრცე უჭირავს ვაზებს. აღმოჩნდა, რომ გასაბჭოებამდის მამულს ჰქონია მხოლოდ ოცდა თუთხმეტი ჰექტარი ვაზი, დღეს კი — ას სამოცი!

ჩვენ ეს სივრცე ძლიერ გვეცოტავა და მივეცით და ვალება ადგილობრივ მუშაკებს მომავალ წელში უსათუოდ გააორკვეონ მისი სივრცე. იმათ კი შემხვედრი გეგმა წამოგვიყენეს და შეგვპირდნ გასამკეცებას!

ასეთი დაპირებით გამხიარულებულებმა ჩვენც კინაღამ გავასამკეცეთ ჭიქების დაცლა, მაგრამ მოგვაგონდა ერთი შემთხვევა მეორე მამულში და ჩქარა შევიკავეთ თავი!..

ამ ნომერში ჩვენ უკვე ალაზნის გაღმა უნდა გყოფილიყავით, მარა წინანდალმა შეგვაფერხა და დავრჩით გამორღმა.

ჩამორჩენას გამოვასწორობთ შემდეგ ნომერში უსათუოდ!..

ს. თ—ია

ს ა ღ მ ი ღ ი ო ღ ა ?

პეტრემ აიღო პატარა ბოხჩა
(წყვილი საცვლით და ქონის საბონით)
და სანამ ოთახს გაშორდებოდა
პეტეტიურით დაიწყა ტონით:
— მშვიდობით, ჩემო ცოლო და შვილო,
მერი, ქეთინო, პალო და თინა,
ოთარიკო და მაკო, ნანიკო; —
იქნებ ვერ მნახოთ ცოცხალი შინა...
იქნებ წავიქცე რიგში ღვინის დროს
და განვუტევე უმანკო სული,
იქნება ტყავი ტანზე გადამძვრეს
ვერ მომპარუნონ გრძნობა წასული;
იქნება ჭირმა და ფათერაკმა
ან სხვა რამ სენმა შემიპყროს ხელად

და საიქიოს გადამასახლოს,
მზე შემიცვალოს ნათელი ბნელად;
იქნება წერას აუტანივარ,
რომ ასე უნდოთ გავსწირე თავი,
იქნება კვალზე ვერ ნახოთ ჩემი,
ვერ ნახოთ ჩემი კუბო - საფლავი...
და ამ სიტყვებზე პეტრეს თვალს უცებ
გაღმოდინა ცრემლის ჩანჩქერი: —
ატირდა ცოლი, ატირდა შვილი
და მეც ავტირდი იმათი ცქერით.
იქნებ იკითხოთ — სად მიდიოდა
პეტრე, რა მხარეს, ან რომელ ომში?
ომში კი არა, ტანის საბანად
ეშურებოდა ის აბანოში... მედუზა

თ უ მ ა ნ ა

ერთ წვეულებაში შემთხვევით მოგხვდით.
მასპინძელი თვითონ თამადადობდა.
— ახლა კი, მეგობრებო, არის ჩემთვის ყველაზე უფ-
რო საყვარელი სადღეგრძელო. — დაიწყო შეზარხოშე-
ბულმა მასპინძელმა. — მე ესევე სადღეგრძელოს ჩემი
პატარა თუმანასი!

დიასახლისმა ხელში აიყვანა ორი თუ სამი წლის
გოგონა, რომელმაც თავის სადღეგრძელოზე მადლობას
ნიშნად თავის ქნევა დაიწყო.

ყველას გაგვიკვირდა სახელი — თუმანა.
— ამა. გოგი, — დაიწყო ჩემს პირდაპირ მგდომმა
სტუმარმა, — ჩვენ ვიცით, რომ ახალმა ცხოვრებამ ბევ-
რი რამ წარმოშვა. ადამიანის სახელებიც კი ახალი გა-
მოიგონა: ნინელ (ლენინ უკუღმა წაკითხული), ოქტომ-
ბრიანა ოქტომბრის რევოლიუციის, თებერვლიანა (საქა-
რთველოში საბჭოთა ხელისუფლების გამყარება) და
სხვა ასეთები, მაგრამ, თუ ძმა ხარ, მითხარი — ეს თუმა-
ნა რაღა არის? ნუ თუ ასეთი მშვენიერი ბავშვი მშობ-
ლებმა თუმნად შეაფასეთ, რომ თუმანა დაგირქმევიათ?
შენ რომ იყო ფინანსისტი, ანდა ფულის მოყვარული კა-
ცი, მაშინ კიდევ ჰო, ფულის სახელი უწოდო შენის, მა-


გრამ შენ არ ხარ ასეთი კაცი. ამიტომ გვითხარი რაშია
საქმე, თორემ ისე სადღეგრძელოს არ მივიღებთ!

— გვითხარით, გვითხარით! — ერთხმად მოითხოვა
მთელმა წვეულებამ საიდუმლოების გაგება.

— რაშია საქმე და იმაშია, რომ... — დაიწყო მას-
პინძელმა... — რომ ჩემს გოგონას თუმანა ჰქვია. თქვენს
დიასახლისს, ანუ ჩემს ცოლსა და დეულციხვას, — და
თავის ცოლზე გვიჩვენა, — როცა ფეხძიმეთ, ანუ უფრო
ზრდლობიანად რომ თსთქვათ, როცა ორსულად იყო და
მუცელში ჰყავდა აი ეს პატარა გოგონა, რომელიც მაშინ,
რასაკვირველია, კიდევ უფრო პატარა იქნებოდა, ვიდრე
ახლა არის, — დედაბისს, ე. ი. თქვენს დღევანდელ დი-
ასახლისს, ანუ ჩემს ცოლს აბორტი უნდა გაეკეთებინა,
მუცელი უნდა მოეწყვიტა... მაგრამ ვერ ვიშოვეთ ექი-
მისათვის ის თუმანი, რომელსაც აი ეს მშვენიერი გოგო-
ნა უნდა მოესპო. ვერ ვიშოვეთ, და რაკი დაიბადა, მას
ვერ — ნაშოვნ თუმნის სახელი დავარქვით — თუმანა!
— და დაჯდა მზიარული მასპინძელი.

საერთო ტაშის ცემით და ფეხზე ადგომით დაიღია
პატარა თუმანას სადღეგრძელო.

ჯმუკი



... — თქვენ გაგაგზავნით საგარეო, აუცილებლად გპირდებით ზღვის ჰაერი; მოგცემთ ცნობას
და სანამ გატარდებოდეთ სათანადო კომისიებში, ქვე კომისიებში და...

აპათიუზი — დაჯამორდა კი დეც და ალბად არც აგარაკი დამჭირდება — რომ, ექიმო?



ოფიციალური — რას წერები ამხანაგო, კოვჩისა და დანა-ჩანგლის ხმარება ჩვენს ბუფეტში მოდიდან გა-
დავარდა, ვერ გაიგე?

ლორე და კრუხი

ლორე კრუხი შეეყარა,
წყლის რომ იდგა მიმდევად ჭოჭი;
ლორე იყო გოჭის დედა,
და თორმეტიც ახლდა გოჭი,
არც თუ კრუხი რა კენტად:
ორმოციოდ წიწილს ცავდა
და გამდლობის სიმძიმის ქვეშ,
სულ არ მიკვირს, რომ კრუხვალა.

მხოლოდ, როცა შემოესმა
ლორის კენესა, კუთვსა მძიმე,
სიცილისგან თვალზე ცრემლიც
კი მოადგა მოციმციმე.

და შენიშნა: „წუმბის კერძო,
რასა კენესი? რისთვის ოხრავ?
დინგს თუ დაჰკრავ, ნიადაგი
ძირებს მაინც ხომ ამოხრავ!

თორემ ყოველ ნაყარ-ნუყარს
შორიდანვე ყნოსვით არჩევ
და საჰმლისგან, როგორც ვიცი,
თავს და გოჭებს არ მოამშვე.

სალორიდან ტყემლის არე
წინ გიგია, როგორც ხალი:
ვერც ყვავ-ძერა გაცლებს რამეს,
ვერც ქორი და ვერც ალალი.

აბა, წყალი?... ჰა, ეს გოჭი
მისწრება შენთვის, გახა,
წყალს შესვლზე და შემდეგ შიგაც
წამოწვები გოჭიანი.

უმადური, შენი მსგავსი,
და ბინძურიც მასთან ლეში
არც მე და არც ჩემს წიწილებს
არ გვინახავს თავის ღეშში!

ჩვენ რომ წყალს ვსვამთ, ვიკარწახებთ
წვივით და ფრთებსაც მალა ვსწურავთ:
არც ფეხებს ვსვამთ წყალში ტლანქად,
არც შიგ ვწვებით, არცა ვცურავთ.

ერთი სიტყვით, სიფაქისეს
ჩვენსას ლორი რას მიხედება!

შშორით არის, ალბათ, ის რომ
ისე ჰკენესის, თითქოს კვდება!..

ლორმა უთხრა: „კრუხი რომ ხარ,
მსჯელობაზეც კი გეტყობა!
ახიც არის, ამის შეიძლება,
ზემავალთა შენზედ მტრობა!

თავისთავის სიფაქისეს
წარმოიდგენ შენების წონად:
სხვებს ამცირებ და თითონ კი
დააბიჯებ თავმომწონად...

მართალია, დინგს არ ხმარობ,
ნისკარტით ჰქექ ნაყარ-ნუყარს;
თუ ეს ჩემთვის აიბია,
გეკითხები: შენთვის თუ ყარს?

წყალში, აბა, რათ ჩაწვები,
ხუთიოდე გყოფნის წვეთი,
ჭიბით და ბუზ-მატლებით
მდიდარია ეს ხმელეთი!

და ნისკარტით, ვით წერაქვით,
ჰქექავ და ჰკრებ, რასაც ნახავ
და საზრდოთა მოძებნაში,
აფსუსია, მე რომ მძრახავ!

მხოლოდ ერთში მართალი ხარ,
წყლის დაზოგვა რომ არ ვიცი;
შენ გგონია, ეს მისგან მჭირს,
რომ ზნეობით არ ვარ მტკიცე?

ჩვეულებათ მოდის ასე
ჩემს მოდებზე აგი წესი,
და ტალახში როცა ვწვები,
ამ წოლაზე იქვე ვწვდები!

რატომ? ვინც რომ უკვირდება
ის ადვილად ახსნის ამას!
ვით გითხარი, აფსუსია
მიწუნებდეს კრუხი ჭამას!..

სიფაქისე-სისუფთავის
მაგალითი ის რითია?
ნაწყვეტ-ნაწყვეტ კუთვას ისვრის,
უტვინოა, ვით პითია!

სხვისი ყოფის, სხვისი ხედვის
სად აქვს ჭკუა გასაზომი?

—მე რომ მძრახავ, დამეა თუ
შენ რომ კუთავ, როგორც წრომი?
თუ კი ბედს, თავს და წიწილებს.

არ ემდური, გმოსავს მადლი,
კუთვასა და ოხვრას მაინც,
მიკვირს ძლიერ, რათ არ მაღლი?!

მაგრამ, აბა, რას მიხედები
ჩემი კუთვა რისგან მოდის?
ვით გითხარი, ლოდით მაწევს
ჩვეულებს მთელის მოდამის!

აგერ ამ ჭოქს ხომ უყურებ:
სუფთა იყო წყალი, მარა,
შიგ გოჭები რომ შეიჭრენ,
აიშვრა და გაისვრა!

რაც მე ამათ ყოლას მოვრჩი
და არ სცდება გოჭებს თვალი,
ვნატრობ, მაგრამ არ მრგებია
ჯერ სასმელად სუფთა წყალი!

მაგრამ... მაგრამ წესი არის—
ვაპატიო აგი გოჭებს:
ნაყარ-ნუყარს თუ კი ვამშვე,
დავარიოდ უნდა ჭოჭებს?

ან, ვთქვათ, შენც მაგ ნაზ წიწილებს
აქეპინებ როცა ნავავს,
ხუთი წვეთი წყალი შემდეგ,
თუ გგონია, რომ ყელს ჩაბანს.

განსხვავება თუა ჩვენში,
შეფასება ცუდიოთ:
„აქლემის და ნემსის ქურდი
ხომ ორივე ქურდიოთ“?

ესა სიტყვა და კუთვს ქნევით
შეერია ლორიც გოჭში,
ჯერ მოხერხება წყალი და კვლავ
გადაბრუნდა იქვე ჭოქში.

დარჩოს თავბადასავალი

გაზეთი „საბჭოთა საქართველო“
თბილისი

დარჩო მეტაჭკეების კოლექტივიდან გააგდეს. ამის შემდეგ მუშკოვში ერთი „დიდი კაცი“ გაიცნო, ლაზათიანად შეაზარბოშა და საქმეც გაიჩარხა: დარჩო მუშკოვის სასადილოს გამგეთ დანიშნეს.

დარჩო გახარებული ამბობდა:

— პირდაპირ კარგი სლუხი შამხედა, მთელი ტაჭებიც, რომ ეჩუქებიან — ამ სლუხებაზე მაინც არ გავცდოი, საქმილი არის და სასმელი. ახლა ერთი მტუქაც გავატარო: პამაც ხომ ვკამ, მარა ცოტა ფულიც უნდა შევაქურო, შავი ღლისთვის არის საჭირო, აფსუზ, რავა გალადოვკაში გაიგოდა ჩემი სათენიკა, აფსუზ! — ახლა გაცოცხლებოდეს, ხომ გაძღებდი ლაზათიანად.

დარჩო ძმა - ბიჭებს არც კი ცნობდა, ამაყად ფაფახს განზე გადიგდებდა და ისე ჩაივლიდა.

არც ძველ საყვარლებს აქცევდა ყურადღებას, რადგან დარჩომ, როგორც „საჭირო კაცმა“ სასადილოში ერთი ჩარგვალებული გოგო მოხიბლა პურ - მარილით და გვერდში მოიგორა.

— კაცო, გაიგე ჩვენი მეტაჭკე დარჩო ერკოვსკი სტალავოის გაშვებდ უნიშნაით და ერთ ყოფაში ჩაეარდნილა. თურმე მთელი სურსათ - საწვავის ნახევარს თვითონ ფლანგავს, კარგი საყვარელიც გაუჩენია და არჩენად გრძნობს თავს.

— მაშ, მაშ აგრე ამბობენ და... ზედაც არ ეტყობა? ჩვენთან ყოფნის დროს მუცელში სულის ძლივს იმაგრებდა.

მუშკოვის სასადილოს ირგვლივ უკმაყოფილება დღითი - ღღე იზრდებოდა.

— კაცო, რას გავს ეს, რას ემსგავსება ჩვენი სასადილო!

— პირდაპირ იოჯანელია, არაფრად არ ვარგა კირძები, სულ უგემურია.

— უგემურობას ვინ დაეძებს, რომ მუცელს მაინც გვიძღებდეს. ამ ერთი ლუქმა საქმილით, როგორ უნდა დავკმაყოფილდე მუშა - კაცი.

ასე გადიოდა დღეები, მაგრამ სადილები გაუმჯობესების მაგიერ, კიდევ უარესდებოდნენ.

გავიდა დრო. ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელად დარჩოს სასადილოს კომისია მიადგა.

— გამგეს დაუძახეთ, საქმე გვაქვს.


— პაუალიტე, აქ გახლავართ, დარჩო ბუღდანიჩი — და დარჩომ იგრძნო, რომ რაღაც კარგს არ ნიშნავდა ასეთი ხალხის მოსვლა და დაბნეულმა თვალების აქეთ - იქით ცეცება დაიწყო.

როცა დარჩოს მოსთხოვეს ანგარიშები, სულ დაიბნა და ერთს იმეორებდა: პაუალუსტა, პაუალუსტა, სულ ჩემს მიერ პრავერკა ნაქნარია, აშიბკა არსად არ არის. ამდენი მოდის, ამდენიც იხარჯება, მაშ პუსტიკი საქ-

მეა ამდენი მოშის გაძღმა? ე — — —
ოჯახქორები იმდენსა ჰამენ, რომ პირდაპირ გამაწყალეს რაღა! მერე გადიდგოლებულიც არიან, ეს პატარა პორციაა, ეს უგემურია, ვა, ის დრო დაავიწყდათ, როცა ტარხუნი და პური ენატრებოდათ!

— : —

კომისიამ გამოკვლევის შედეგად დარჩო ვირის აბანოში მიაბრძანა, როგორც სასადილოს გაწინაგებელი, ხალხი საქმე სასამართლოს გადაეცა, შარი-შური.



წმენდის
წინ

— პირდაპირ მაკიოებს, თქვენი საქმართველი იადონი გახდა. პირიდან თავლი გამოსდის, მტრედით ლულუნებს და როცა რამეს გეუბნება — შაქარით დნება. ასე თავაზიანი არასოდეს არყოფილა.
— ეს მიტომ, რომ წმენდა მოახლოვდა.

მოფი-ნახე.

კავიბონი ინფია ხულიზანი გიჭია!

სტალინის სახელობის
(ყოფ. ცენტრ. მუშათა)
კლუბის სასაიდლოში ოკი
ციანტად მსახურებს კაპი-
ტონ ინფია, რომელიც უჩ-
ვეულო თავხედობას იჩინს.
ინფია მომხმარებლებს მუ-
დამ უხეშ პასუხს აძ-
რის და ხშირად ჭიჭირი
სიტყვებით ილანძობა. ასე
ოი მახინჯი პიროვნება უნ-
და გაირიცხოს როგორც
დაწესებულებიდან. აგრეთ
ვე კავშირიდან.

№ 900711.



მიყვარს, მომხმარებელო,
შენი ღელის გინება,
თუ ვერავის ვაიყებ
ცრემლები მეღინება!
გამგე მწყალობს „ბუთიჩის“
ანუ სასაიდლოსი,
ორივე მიკიტანი ვართ—
ძვილ სარდაფის სილოსი.
ვის რე უნდა ის მიყოს,
შემავინონ. გამაიოხონ,
ამომისვან პანდური,
კავშირიდან გამრიცხონ,—
არაფერზე ცრემლები
მით არ დამედინება.
ჩემი ღმერთი ერთია:
გინება და გინება!”

იცნობადე დამკვეთ მამა- მეხს

სამტრედ. კოოპ. თანამშრო-
მელმა ს. გეგეჭკორმა წინსა-
ფარს ქვეშ დიდი ჯიბე დაი-
კერა, რომლის ყელობითაც


ერთ კვირაში გაქრა ათი
წყვილი კალოში, თორმეტი
წყვილი საცვალი, ჩიტი და
სხვა. მას მიბაძეს პოლიკარპემ
და პორთილომ და მალაზია
სწრაფი რემპით „გააიმაქ-
ნეს“.

ბ—ნი.



იცნობ. დამკვეთელ გაქაფველს
სიმონა გეგეჭკორია.
მუშკოპში მოსულ საქონელს
დაებდო ნა, როგორც ქორია.
გასუქდა კაცი ვაჟკაცი
ეპოს ქონება-ხარჯითა,
რაც საქონელი მოვიდა,
მან მითვისა, გაჩითა.
მათ „ბუზიც“ აღარ ჩამორჩა;
იმადრეილებს ქალებსა;
მაგრამ მას სხვა დროს გავწყებათ,
„ამოუტოცნით თვალებსა!“...

დიმიტრი სიოლა-ბარაქა,



ჭიათურის მუშკოპი შე-
საფერ ყურადღებას არ აქ-
ცევს მუშათა მომარაგებას.
ზოგიერთი მისი გამგეობის

მუხჯი პატარაალი მიუნაბავს ოვალია!

ალბანის სამკითხველო
(ცაგერის რაიონი)
უვარგის ბინაზეა მოთავსე-
ბული, სამკითხველოში რა
დიო დადგეს, რომელსაც
პირველ ღღესვე ენა ჩაუვა-
რდა და დამუნჯდა...

ალმისელი.

წინეთ დადგეს აქ რადიო,
ყველას გაუხარდა,
ყვილას. (რასაკირველია
კულაკების გარდა).
ის პირველ დღის, როგორც იყო,
ძლიერ ახრიაოდა.



შემდეგ, რატომ აღარ ვიცით
ენა ჩაუვარდა...
ეხლაც ასე დგას მდუმარეთ,
როგორც პატარაალი
და შესცქერის მგლოვარეთ
ხალხი მოწაფათ მდგარი.

ნოქრები მოამარაბა


წევრები და ნოქერები მუ-
შების ნაცვლად თავიანთ
თავს და ჩარჩ სპეკულიან-
ტებს ამარაგებენ.

შაკო და ნოე.


მუშკოპის გამგის დიმიტრის
სიტყვას შევკადრებ რამესა,
საბილიარდოს „განაგებს“,
მასში ათენებს ღამესა,
ღღეს იქ აღამებს „შრომაში“
ნოქრები თვისთვის აღშვა
და საქონელი ჩარჩების
საკუჭნაოში ჩაუშვა.
მუშკოპის გამგე, დიმიტრი,
შაკოს და ნოეს არაკებს
გაეხმარე თუ არა
ნინავი მოგიმარაგებს!

 ԳԼԽԱՎՈՐ ԳՐԱԴԱՐԱՆ
 ԶԵՆՈՒԹՅՈՒՆՆԵՐ

சுருதிசூத்ரம்



„შიხლინსკი ბომბ“.



„მშვიდობიანი“ მოგზაობის მშვიდობიანი მოძრაობა ქუთაისის (და არა მარტო ქუთაისის) ქუჩაზე.

თანამიმდევარი

გვიანადე საერთოდ თანამიმდევრობის კაცია.

წელს რომ მეორე ბოლშევიკური გაზაფხული დაიწყო, გვიანადე შეუდგა მოსამზადებელ მუშაობას და თანამიმდევრობა იმდენად გაარღმავა, რომ სხვაგან ხენა მოთავდა და გვიანადის კოლექტივში ჯერ მოსამზადებელი მუშაობაც არ იყო გათავებული.

ქვეყანა რომ დაიქცეს, სანამ მოსამზადებელ მუშაობას არ დავა-მთავრებ, ხენას არ დავიწყებ. მე მიყვარს თანამიმდევრობა, — დინჯათ ამბობდა გვიანადე.

სხვაგან რომ თესვა დაიწყო, გვიანადე მხოლოდ მაშინ შეუდგა ხენას, ხოლო როცა ბევრ ადგილას მარგვლასაც შეუდგენ, გვიანადე იობის მოთმინებით აღტურვილი განაგრძობდა ხენას.

— ე, კაცო, დავიწყეთ თესვა, — შფოთავდნ კოლექტივის წევრები.

— დაიცავით თანამიმდევრობა, მე აქ მემარცხენე ნახტომების განწყობილებებს ვაძინევ, — იმუქრებოდა გვიანადე, — სანამ უკანასკნელ ნაკვეთს არ დავხნავ, თესვას არ დავიწყებ!

სხვაგან მორორის შეუდგენ, გვიანადის კოლექტივში კი სოიას პირველი მარცვლების მიმობნევა დაიწყო, ხოლო როცა სხვები მოსავლის აკრეფისათვის მოემზადნ, გვიანადე მუხუდოს თესვაზე გადავიდა.

— ამხანაგო გვიანადე, ეს ფულადი სახსრების მობილიზაცია სულ დაგეგმიწდა, ახალი სესხიც გამოვ-ცდა.

— მემარჯვენეობაში ნუ გადავარდებით, — აღუშფოთებლად ამბობდა გვიანადე, — სანამ უკანასკნელი მუხუდოს მარცვალი არ მიეფარება მიწას, მანამ მე სახსრებთან სქმე არა მაქვს...

დაიწყო მოსავლის აღება და გვიანადის კოლექტივიც გადავიდა მარგვლაზე.

— ამხანაგო გვიანადე. შემოდგომის ნათესს აღება უნდა, თივაც ილუპება, გადაწვიფდა!

— ხელი აიღეთ თუ ღმერთი გწამთ, ეგ არის ოპორტუნისტული წუწუნი და დემობილიზაციური განწყობილება. სანამ მარგვლას არ მოვითავებ, მოსავალი და თივაც სულ რომ დაილუპოს, თითს არ გავანძრევ.

— კაცო, ნარდი მუშაობა მაინც შემოგველო, მუშაობას დააჩქარებდა

— ერიპაა, მაშ თქვენ თანამიმდევრობა დავიწყებიათ! სანამ მარგვლას და მთელ ამ კამპანიას არ მოვითავებ, ნარდი მუშაობას ხელს არ მოვკიდებ. მაგის შესახებ რაც დირექტივებია, ცალკე დამიწყევთ, შემოდგომაზე წავიკითხავ დისკენებულათ.

— არც შრომის აღრიცხვაა მოწყობილი!

— ეგეც ბოლოს იყო, მაგისათვის არ მცალია.

— ბრიგადებიც არ ჩამოგვიყალიბებია!

— მოვესწრებით მაგასაც.

— მოძრავეი სამზარეულოც არ მოგვიწყვია!

— კაცო, რა დროს სამზარეულოა ამ გაცხარებულ მუშაობის დროს?

— გამოუყენებელია ქალთა შრომა!

— ბატონო, ქალი იჯდეს სახლში და მატყლი ჩეჩოს, ქალს ყანაში წავიყვან?

— არც სოცშეჯიბრებაა, არც დამკერელობა, არც ბუქსირი!

— თანამიმდევრობა, გენაცვა, ყველაფერი მოვესწრება. ეს საგაზაფხულო მუშაობა ჩავატაროთ და აგერ ზამთარში ხომ საქმე მაინც არ იქნება: გავშლი მაშინ შეჯიბრებასაც და ბუქსირსაც, დავამუშავებ სანარდო სისტემას, მოსავალს გავანაწილებ... ოღონდ დაიცავით თანამიმდევრობა. მე მკითხეთ რა ბუქსირები განვაფითარო!

აქედან ყველა მიხვდება, რომ ეს გვიანადე და საერთოდ გვიანადეები თითონ საბუქსირო ხალხია და შინაურულად რომ ითქვას, მამალი ოპორტუნისტებიც, რომლებიც ყოველგვარ თანამიმდევრობის გარეშე უნდა იქნან გადმოუქსირებული ხელმძღვანელობიდან.



გლეხი — სად არის აქ სამტრედიის რაიკოლმეურნობათა კავშირი?
თავ-რე — კავშირი ნი ზნაით ამხანაგო, სული რაბი კოლხოზსოიუში ნახო დიცა!

ნიაზი ქუთაისის მაფსალეზ ქარხანაში

ჩემს პატივცემულ
კუდიტ,
უჩინმაჩინის
ქუდიტ.
ვეწვიე ნაცნობ
ალაგს—
ქუთათურების
ქალაქს, —
რომ იქ ჩასვლაზე
უწინ
ვინმესთვის მექნა
ყლუნწი.

—:—
იქ აბრეშუმის ძაფის
საღებ ქარხანას დილით

მივადექ მეყვსეულად
ჩემი ჩანგლით და კბილით.
ქარხანას უსათუოდ ,
მიღწევები აქვს თვისი,
მაგრამ გაცდენა მრავლობს,
გაცდენა მრავალგზისი.
„შვებულებაში“ ყავდა
ცხრა დღეს სამჯერ ცხრა დაზვა,
მოალოგინა თითქოს
და მეათე დღეს აღვა.
ცრუ დამკვრელებიც ვნახე
დაზვებთან აქა-იქა,
(მათ საკმარისად მოცხეს,
ამოადინეს სიქა).
ამაშუკელი ვნახე—

მექანიკოსი კაცი,
მინდოდა შემეჭამა
ვით დამშეულ მეფელს ვაცი:
ის და რუხაძე მუშა
გამომგონებლებს ჩაგრავეს
და მათ პროექტებს მარხავეს.
კუბო - სულარში აკრავს.
ყველა ამისთვის ვბრძანებ
დაუტარავად, ცხადად,
ჩარიცხულ იქნეს, ესე,
ქარხანა კანდიდატთ—
და მოკლე ხანში ტემპებს
თუ კვლავ ჩამორჩა იგი,
ნიანგორდენი ჯილდოთ
მიეზღოს პირველ რიგის. —ზა.

გ ა ქ რ ა რ ო მ ა ნ ტ ი კ ა



ზოგიერთი მოქალაქე დარწმუნებულია. თითქმის საბჭოთა ხელისუფლებამ რომანტიკა გაანადგურა. რომანტიკა წყალსაც წაუღია, მაგრამ ზოგიერთი გულჩვილი არსება ვერ ინელეს იმას, რომ რომანტიკასთან ერთად. მისი აზრით, რომანტიკის ერთ-ერთი ელემენტი-სიყვარულიც განადგურებულია. ზოგიერთი მოცლილი ემანგრანტები საზღვარგარეთ ლექციებსაც კი კარგულობენ საბჭოთა კავშირში „სიყვარულის დაღუპვის წესებს“ მაგრამ ცხოვრების სინამდვილე სულ წინააღმდეგაა გვიჩვენებს: ამას წინეთ ერთი რაიონიდან ჩანაუღლი ამხანაგა მიაშობდა, რომ იქაური ექსპლუატაციის თანხმდენარეს გაგიუფებთ შეუყვარებია ერთ-ერთ განკუთვნილი მოქალაქის ქალი, შეყვარებული ვაჟი ასე მოიხიბლა, რომ გაბოცებულია და სატრფოსათვის ლექსა „...“

მე „სავეცი“ ვარ,
შენ კი კულაკი,
ეშხით ვიწვები,
როგორც ბურაკი“.

ცაგერის რაიონში ერთ-ერთ კომკავშირელს შეყვარებია აგრეთვე კულაკის ქალიშვილი, როცა თემში მთლიანი კოლექტივიზაციის გატარება და კულაკის გადასახლება დაუპირებიათ, კომკავშირელი კაცი, სატრფოს განშორების მოლოდინში აღშფოთებულია. არც უციებია, არც უცხელებია და თემადმასკომისათვის ასეთი განცხადება მიუცია:

„ამით ვაცხადებ, რომ მე ბავშობიდანვე ვარ შეყვარებული პ-ში (ურთმლისოთაც ცხოვრება ჩემთვის სამძიმოა. მე ყოველ ღონეს ვხმარობდი და მომავალშიაც ვიხმარ, რომ პელო ჩვენი თანამებრძოლი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, კარგი საბჭოთა მუშაკი დარჩეს... ამიტომ გთხოვთ მიიღოთ მხვედულობაში ჩემი განცხადება და თუ ჩვენ თემში მთლიანი კოლექტივიზაცია გატარდეს, არ გადასახლოთ პელო, რადგან მე მასში ვარ შეყვარებული. იმედია ჩემს განცხადებას დააკმაყოფილებთ“.

აღმასკომის თავმჯდომარემ, სიჩქარის გამო, მთელი განცხადების ნაცვლად რამოდენიმე სტრიქონი წაიკითხა. კერძოდ ის ადგილი, სადაც განმცხადებელი ამბობდა, რომ მას პელო უყვარდა. თავმჯდომარემაც განცხადების საბასუბოდ ასეთი მოწყობა გაამზადა:

„მიეცა ესე მოწმობა მოქალაქე N-ს მასში, რომ ის არის შეყვარებული. რაც დასტურდება ხელის მოწერით და ბეჭდის დასმით“.

ცხადია აღმასკომის თავ-რეც განმცხადებელზე მეტად იყო შეყვარებული და ალბად ამ მოწმობაზე ხელის მოწერის დროს საქმეზე უფრო თავის მიჯნურის თვალზე ფიქრობდა...

ამის შემდეგ კიდევ გამოჩნდება ვინმე რეგენი, დადგება გზაჯვარედინზე და შემოსძახებს: „გაქრა რომანტიკა... მოისპო საყვარელი... გაპროზავდა ცხოვრება“-ო.

მედრეზა.

გამოცნობილი ამოცანა

გულთ... სულთ... ისხლთ...
ხორციოთ...;

მოწამლული ყოვლად მყარალი;
ყბედი... ურცხვი... გაიძვრა
დღე და ღამ, რომ არის მთვრალი
საქართველოს ღვინოში;
ის — ატარებს მუშის სახელს...
ნაკოლოზის ლოცვა უყვარს
ხოვანას მისას, უნთებს სანთელს.
მას ისე სძულს ეს ქვეყანა...
ფრთები ქონდეს გაფრინდება,
უცხად ძველ დროს გაიხსენებს,
ატარდება — აცრემლდება!!
მის ღუქნებში ერკოპია...

ეკიდება გულზე. ცეცხლი,
შვიდ თოხანში გამოჩიმულს
სკივრს უმიძიებს ოქრო-ვერცხლი!!
რომ შეხედოთ კაცი არის...
ორი ხელით... ორი ფეხით...
ებრძვის მღვმურებს, მამლაყინ-
წობს...

ემუქრება ყველას ცემით...
სახლები აქვს საკუთარი...
ჩარჩობის დროს ანაშენი,
მეტრო ცხვრით დასეირნობს...

გოჭის ტანით დანამშვენნი!
მე რა მიჭირს, გულში ამბობს
და ღლინებს ტკილათ ნელა,
რას არ იზამს — არ იკადრებს,
ეს უკუღო — კულა მელა!!
ქაფავს ღვინოს, აბა როგორ?
და მუდამ დღე მწვადებს ყლაპავს!!
გვიკვირს ამ მძორს ვინ მფარველობს,
გვიკვირს ამ ღეშს ვინ ინახავს.
საქართველოს ღვინო-ძმაო...
უძვირესო ყველა ღვინის...
თავის ტკივილს შეგვაჩვია;
თქვენმა ღვინომ ალბათ სვირის!!
ნუ ინახავთ ასეთ ტიპებს
მისი გვარის ბოლო — ძეა
თუმცა რაღა დაგიმალოთ:
იოსება გვეტაძე!!
ნუ ატარებს მუშის სახელს
ერთ დროს მუშის სიხლის მსმელი!
თორემ მალე გაწითლდება,
მისი მხსნელი და დამცველი!
გვეტაძე ხომ ცნობილია
იოსება გესმის? სმენა?
მღვმურებს თავს თვარ დაანებებ
ამოგძვრება მალე ენა!!

მახ-რა.

ასკანელი კაი ბიჭი

ვარ კოწია შევარდნაძე,
ცნობილი ვარ ყოველ კუთხეს,
ასკანელი „კაი ბიჭი“
სადაც მნახეს შემეკუთხეს,
საშვილოებს კულაკად ვთვლი,
თვით ეს „არის კლასთა ბრძოლა
ვამბობ „სრედნიც“ კულაკია,
და არ ვარგა მათი ყოლა.
ვაშლი მქონდა ას ფუთამდე,
მისამდე შევინახე,
კერძო ბაზარს მივაშურე,
იქ მოგება მეტი ვნახე.
ვკომუნისტობ, ვორატორობ,
გამგედა ვარ ჩვენი სკოლის,
თუ მანდატი არ დავკარგე,
არ დავღუპე შვილი-ცოლი...
სულთანა.

მზადდება სპეციალური

გ ა მ ბ ი ს

ნომერი

საქონათურო მასალები

დაბეჭდება შემდეგ № 90

ნიანგის ორღენით

სანახაოგა 5 ნაწილად

ნაწილი პირველი

— საღამოს აუცილებლად მოდი/არ დაიგვიანო...

— რაზე.

— როგორ თუ რაზე! კრებაზე. არ იცი? აუცილებლად უნდა მოხვიდე.

— მოანგარიშებებიც უნდა მოვიდეთ?

— აუცილებლად.

— გავჩნდები.

ნაწილი მეორე

— აქ არის კრება?

— აქ არის.

— მოვიდენ.

— მოვიდენ?

— რავიწყოთ.

— რავიწყოთ?

ნაწილი მესამე

— მე, როგორც პროფერწმუნებული, კრებას გახსნილად ვაცხადებ, გთხოვთ აირჩიოთ თავმჯდომარე (თავისთვის): თუმცა არჩეულიც ვარ და ქვეც ვზივარ აგერ, თუ თვალში სინათლე არ გაკლიათ...

ხმა: ხარ და იყავი!

— დღის წესრიგზე გადავდივართ. ვინ არის საუკეთესო მუშაკი?

— კოლა ჩინებულაია!..

— თომა საუცხოვოდ მუშაობს!..

— ანიკო ლამიებს ათენებს სამუშაოზე!..

— სიკო საუკეთესოა!..

— ერთი სიტყვით, ყველა დამკვეთი ვართ!

— ყველა საუკეთესოთ ვმუშაობთ.

ნაწილი მეოთხე

ოქმი № 5.

მოისმინეს: ნიკო კვაჭაძის მოხსენება შესახებ იმისა, რომ გამორკვეულიყო ქაფტრესტის ქარხნის დამკვეთების და საუკეთესო მომუშავეების ვინაობა, შესაფერ მორწმუნეების გასაცემად დეფიციტიურ საქონლის რიგ გარეშე მიღების მიზნით.

დაადგინეს: საუკეთესო მუშაკებათ და დამკვეთებათ ცნობილ იქნენ შემდეგი პირები... (ჩამოთვლილია



ჩვეულებრივი მოვლენა 26 კომუნარ. სახელო-ვის ბაღთან

ყველა კრებაზე დამსწრეების გვა-რები.

ნაწილი მესამე

პირველი ნიანკორი: ღირსი არიან თუ არა ქაფტრესტის ქარხნის ანგარა-ნის თანამშრომელები?

მეორე — ღირსი არიან, ღირსი!

მესამე — დაიმსახურეს თუ არა ქაფტრესტის ქარხნის ანგარანის თანამ-შრომლებმა?

ნიანკორები: დაიმსახურეს, დაიმსა-ხურეს!

მესამე ნიანკორი: რა გააკეთეს მათ?

მეოთხე ნიანკორი: ბიუროკრატიულ მუშაობით საწარმოო გეგმა ჩააფლავეს.

— მაშ ღირსი ყოფილან!..

— ღირსი ყოფილან!..

— **ანკორი:** — რისი ღირსი ამხანა-გებო?

— ნიანგის ორდენის...

საიღუმელ ბარათი პირუღიან

ძმაო სტეფანე! რა მოგვიდა ისეთი შე შერცხვენილო, რომ ერთი წერილის გამოგზავნა გაგიჭირდა? არა გრცხვენია, ასე მალე დაგავიწყდი? ნეტა ვიცოდე, რატო არ გაინტერესებს ჩემი მდგომარეობა. ის კი აღარ ვარ ბიჭო ქე რო ვიყავი! კოლონიატივის ნოჭრობას თავი გაგანებე და ახლა ხორცის დამზადების საქმეს ვხელმძღვანელობ. რასაკვირველია, აქ უფრო კაი ხეირია, თორემ ვასილა სხვას ატყუებს და აბა მას ვინ მოატყუებდა? ასეც რომ არ იყოს, პარტიული კაცი აშკარად მაინც ვერ გაეჭიკევი დავალებებს.

თუმცა კი არ მწამს ეს კომუნისტები, მარა რას იზამ, ძმაო, ძალაუფლებურად ქე ჩევიკებზე ამით პარტიაში. ააშენა ღმერთმა აგენის ოჯახი, მომცეს საწუნავი თანამდებობა და მეც, რაც შემიძლია, ქე ვაძლივარ კისერში. ყველას თეთრ კბილებს უჩვენებ და ამითაც მართლა ერთგული ბიჭი გგონივარ... ხო იცი, ბიჭო, მეზობლებს და საერთოდ გლეხებს პაწია სტროლათ თუ არ მეეკიდე, თავზე დაგაჯდება. იცოცხლე შენც და მეც, ესენი ვასილას მუჭში ყავდეს გამომწყვდეული. სულ ჩემ ნებაზე ვაჩინალებ. როცა შემომაკლდება საქმილი, მუჭარით გამოუტყავდებ: აბა, თუ აქედან არ გინდათ გადასახლება, დამზადებაზე საჩქაროდ ჩამოიტანეთ ყველაფერთქვა. თუ რამე გააჩნიათ მოაქეთ და მოაქეთ. მაინც ისე მყავს საწყლები დაშინებული შენი ნაჩუქარი ორ ტკაველ ნახევრიანი ლივერით, რომ სანაშენოდაც აღარაფერს იტოვებენ. ზოგიერთი მეტიჩარა ბიჭები ქე იძახან: ვასილ მალაკელიძე გლეხებიდან დამზადებაზე მოტანილ ხორცოვლობას შინ ეჭიდებაო.

ჰმ! უტვინო ხალხის საქმე ვერ გაგვიგია!... რაფა გონიით ამ პირძალებს! — წვეილებ, აბა ცოლ-შვილს მშვიერს ხო არ დავტოვებ? ვაი, დაენაცვლოს ჩემი თავი ლიზიკოს (ცოლია ბიჭო, ჩემი). ბიჭო ამ მუქათა ნაშოვარ ქათმებითა და კვერცხებით ეს წვეარივით გაჩიკინებული ქალი კვატივით გასუქდა. თავის კანში აღარ ეტევა; ტკიპასავით გახდა. ჩვენსთანა პირის გემოში მგონი არც კოლა აბაშიძე ყოფილა ნიკალაი ვტაროის დროს.


სტეფანე, ეს წერილი არავის წა-

ავითხო და ფრთხილად იყავი, რომ ხელში არავის ჩაუვარდეს, თუმცა ვინ რას გვიზამს, ჩვენს რაიონში ჩემზე უკეთესი „მოღვაწეები“ არიან, მაგრამ მათთვის აქ არავინ იცლის.

შენი ვასილ მალაკელიძე.

წერილის ხელში ჩამდებები:

ძირუღმელი თაღა.



გენერალიზაცია

მწერალი: — ნეტა რა უნდათ, მთელი მოთხრობა სავსეა „ქარხნით“, „ჩაქუჩით“ და „ნამგლით“.

წერილი ბიძას

შენ ჩემო ბიძავ, რომელიც ჩემს საყვარელ სოფელ შალვა-ფერდში ცხოვრობ, სახლი მოჯამაგირეებით გაშენებულ ბაღში გაქვს წამოჭიმული და სასოფლო-სამეურნეო გადასახადს ინდივიდუალურად იხდი, როგორც კულაკური ელემენტი, — გიძლენი ორმოც გრადუსიანი სიმზურვალის საღამს ამ გავარგარებულ ქალაქიდან.

დიდით მონაწილე ვარ შენი მწუხარების, რომ ასე ინდივიდუალურად დაგებგრეს და ყოველ დარგში გაძლევენ მტკიცე დავალებებს, თუმცა იმედი მაქვს, ყველა ამას გაუძლებ, რადგან საბჭოს მდივანი შენი ნათლიამა და როგორც ამბობენ, პურმარისის მადლიც იცის.

დიდათ მეწყინა წისკელი რომ ჩამოურთმევია კოლექტივს და დამზადების ფასებში კამეჩებიც რომ წაუყვანიათ, მაგრამ მიხარია, რომ ბოხივე მეწველი ძროხა შეგზრენია.

მსიამოვნობს აგრეთვე ქათმები ბევრი გყოლია და ხილიც ბლომით ყოფილა. კარგია ისიც, რომ სამივე ღორს თოთხმეტი გოჭი მოუყვანია თითოს და გადამალული ხორბალიც რომ ვერ გიპოვებს. ყოჩაღ ბიძაჩემო!

ახლა ჩემო ძია! ხომ იცი, ჯამაგირი ცოტა მაქვს და აგარაკზე ვერ წავალ, ისიც ვიცი, რომ ყველა გენატრებით და ამიტომ საზაფხულოთ შენთან მოვდივარ ცოლ-შვილით: ჩემს ბავშვებს შეიძთავებს მეტად ენატრებით. ამას გარდა, ჩემი სიამაყე ამიხივდა და ძიც წამოვალ და ამიტომ სიღებრიც მომყავს.

გარდა ამისა, ჩემს ცოლისძებს მინდა ესტხოვო წამოვიდნ ოთხივე, რადგანაც ცოლის ძმებიც (აღარ მახსოვს რამდენია) მომყვებიან. ვფიქრობ, რომ არ გეწყინება ჩემი ძალუაც რომ წამოვიყვანო თავისი შვილებით. ქმარი ხომ იცი, ინვალიდი ყავს და მაქ მოიკეთებს. თუ დამთანხმდა, ჩემი ქვისლიც მინდა წამოვიყვანო ოჯახობით.

ასე რომ არ მოგაწყენთ- გიტარას ჩვენ თვითონ წამოვიღებთ, შენ არ შეწუხდეს. შეიძლება დაირაც წამოვიღო. ამ ორ თვეს კი გაგახარებთ ჩვენი სტუმრობით და მერე ნაწილი მაინც წამოვა, აქედანვე გიცხადებ, ნუ დამენდურები.

გნახე კარგაით საღვურზე, სადაც დამხვდები ურმებით.

შენი გამახარებელი ძმიშვილი
პლლარ-პლლარსან

ხ ი ღ ი ს თ ა ვ ი

(ჩოხატაურის რაიონი)

სასადილოში სულ ისმის: ლანძღვა, გინება, ღრიალი, არსენასა და ექიმს აქვთ დანის და სკამის ფრიალი. ღვინით გაღებულ ვალიკოს არ ყოფნის საქმე პატარა; ერთ ღამეს ეტლი უტყენოთ გათენებამდე ატარა. თემში გამოდის ხანდახან ცოცხალი კედლის გაზეთი, რომელმაც უძღვნა ანეტას ღია წერილი ასეთი: „ქრთამის ამღებო ბებია, დაგეფსო მაგი თვალები რავე დახოცე „აბორტით“ შენ ჩვენი სოფლის ქალები. ხალხი გაკვირდა, განცვიფრდა, ღია წერილის მხილველი, რადგან კრიტიკა გაზეთის ეს იყო მხოლოდ პირველი, გრიგოლს ნოქარსა დაესხა „მსუბუქი კავალერია“ — აქტივი კომკავშირელების, მთელი რაზმი და სერია. წამს გამოკეტა დუქანი, გამოეხვია „პალტოში“ და განცხადებით გაიქცა ალელგებულ პარტკომში. გაბრაზებული გრიგოლი, ძლივს დაამშვიდეს ფერებით, გააღებეს დუქანი ძველებურ კანდიერებით.

ვერეფონთან

(აცანა-ლანჩუთი)

აცანა... აცანა... რომელი ხარ?... აა?... მაშო? ილარიონს დამიძახე, უჯრედის მდივანი რომაა, მაქანაი, ხომე-რიკი. ძანული სასწრაფო საქმე მაქვს მასთან. მაქ არის?... ჰო და გადაეცი აბა ელანძე ტილიფონი.

ილარიონი ხარ? სალამაღლეკუმ ყა-რღაშ! რავე ხარ, ბიჭო?? ილარიონ, თუ ძმა ხარ მითხარი, ზეგლარაი რომ გადაყენეთ კოლექტივის თავმჯდო-მარეობიდან და უჯრედის მდივანი და-ნ, რაში იყო საქმე? ხალხს უხე-შათ ეპყრობოდა? ააა? თვითმომარა-გებას ეწეოდა?? ბანკის თავმჯდომა-რეობის დროს მოსკოვში იყო ბანკის ხარჯზე და თეთრი პურის ფქვილი ჩამეიტანა? რაი? გამდიდრების მაღა-ქვს აღძრული?? კარგი თუ ძმა

~~~~~

კარგ ხიდის გაკეთებისთვის საბჭოს მივეცით ნაკაზი, მაგრამ ჯერ კიდევ არა ჩანს ხიდი და მისი „ზაკაზი“. არავინ ფიქრობს ავტორმა, რომ ეს ამბები მოჭორა, მაშინ დე წყალმა წაიღოს სიცუის მთრქმელი

მოჩორა.

ხარ, მერე და ახლა სადაა? კოოპერა-ტივის გამგეობის თავმჯდომარეთ და-აყენეს?... ვაიმე დაღუპული კოოპე-რეატივო!

რაცა იგავია ნათქვამი, ისე გიქ-ნიენ ბიძია—„ღორჯო წყალში გადა-აღდესო“. აგია თქვენი მუშაობა? აწი უყურე ჭამა რავე უნდა. კი მარა რა შეიქნა აგი ბეგლარი ამისანე? ვილა-ცა დიდი კაცი იფარავსო? არა ბიძია, თქვენ არ ვარგხართ, თვარა არავის არ შეუძლია მისი დაფარვა. რომელი კაცი ნახეთ, რომ ასე მოკლე დროში კაი 4 თვალი სახლი დეიდგა პალატ-ზე ვენახის ბალი გააშენა, შიფანერკა იყიდა, წყვილი კრაოტი, სტოლი, სკა-მები, ნოხი, ფარდაკი და რა ვიცი რა-მდენი სხვა კიდევ.

მაგ რომ ბათომიდან მოდიოდა, ქე შევხდი სასირეზე რაცა მოჭონდა. ერ-თი პაწა კარზინკაი მის ქალს ეკავა ხელში და ბეგლარს კი დიდი კაკუტა ჯოხი. ახლა კაცი მაქუტაძეზე უფრო კარგათაა მოწყობილი და რაფერ ქნა აგი ამ კაცმა? მისი ჯამაგირით შეი-ღებოდა მაი ამბავი?!?

მასე გინდათ თქვენ ქვეყანა ააშე-ნოთ? ისემც ავიშენდათ ოჯახი!

კრიმ-გირეი.

# გოღოგრი

შოკას (სუფსა) მივიღეთ თქვენი ლექსი: „ქალა-ქის პროფილი“, რომელიც ასე იწყება:

გოგრაში ნიქმა მე ამომტეხა  
ამიერიდან მე ვარ პოეტი  
ნეტავ ვიცოდე ჩვენს სტანციაში  
რათ იგვიანებს ხშირად პოეზი?

ალბათ იმიტომ, რომ თქვენი გენიოსური ნაწარმოე-ბის თბილისისკენ წამოღება აზარება.

ხუშმარას — თქვენი „კომიკური ლექსი“ ისეთივე გამართული იყო, როგორც მისი მინაწერი, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

რედაქციას

გიგზავნით რა ჩემს კომიკურ

ლექს გთხოვთ

უახლოესი ნომერში თქვენი

უფრანდისა

დაუთმოთ ადგილი

ჩემს ლექს.

ჩვენ მას მართლაც მიღებისთანავე „დაგუთმეთ“ მესაფერი ადგილი, ან სხვაგვარად, რომ ვსთქვათ, თქვე-ნი „კომიკური ლექსი“ ტრადიციულად ჩაფრინდა ჩვენს ნიანგურ გოდორში. მომავალში ასეთი „ლექსები“ დაზ-ღვეული ამანათის სახით უნდა გამოგზავნოთ, რომ ეს „შეიკით“ „საგანძური“ გზაში არავინ გაიტაცოს.

ღამითს (შორაპანი) თქვენგან მოწერილ ლექსში ეკითხვლობთ

ფოსტაში ძუ შეიარეთ,  
ინახულებთ ზინასაო  
საქმეებზე ხელს არ ისვრის  
ქარვასავით ბზინავსაო  
დროზე ცნობას ვერ ვღებულობთ  
აქ საქმეა არეული,  
უურადლებას არვინ აქცევს  
შინაური, გარეული.

თუ ეს ასეა და თუ პრესაში გამოქვეყნებულ ცნო-ბას მის შესახებ უურადლებას არვინ აქცევს, მიაკითხეთ ზესტაფონის რაი-ინსპექციას.

ზრომის უზნელს (ონი) მოგვყავს თქვენი ლექსის ადგილი

„ონში კალოში მოვიდა  
მუშკოპმა შევებით ჩაბუქნა  
არ მოაწოდა არავის  
თვითონ ითვისა, „ყლაპ უქნა“.

მაინც ვერ მოინელბეს, რადგან გულზე დაადგა-როცა ინსპექცია თავზე წაადგება.



# ფინიკულისე

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



ობორტუნისტი — (საქანელას შინ) — რა საუცხოვოა, ნეტავ ზამთარშიც ასე იყოს. მივცემ აბაზიანს და ვიქანავებ რაზდენიც მინდა. ამას ხომ მაინც ვერაფერს მიკიფინებს...